

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა
კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში
(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421)
შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. 96¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 96¹. ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცება

1. ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიატის, გადაცემის ან განაწილების
ქსელიდან, ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) ტრანსპორტირების
სისტემიდან ან განაწილების ქსელიდან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცება,
მიუხედავად დატაცების ფორმისა, ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის)
მოსმარება მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 300 ლარით, იურიდიული პირისა
და დაწესებულების – 5000 ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 600 ლარით, იურიდიული პირისა
და დაწესებულების – 15000 ლარით.“.

2. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ
სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42¹
და 42² მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 44-ე-44³, 44⁵, 44⁶, 45-ე-49¹, 50¹-56-ე,
57-ე-69-ე, 71-ე-78-ე, 79¹-82¹, 84-ე-86-ე, 88-ე-89³, 91², 92², 94-ე, 95-ე, 96⁴, 97-ე-100², 103-
ე-105¹, 105⁴, 128¹, 128², 143-ე-144¹, 144³-144⁵, 145-ე, 146¹, 148-ე-152-ე, 152²-153¹, 153³-154³,
155¹-156-ე, 157¹-158¹, 159-ე-159⁹, 163-ე, 164-ე, 164⁴, 165¹-165³, 166-ე, 167-ე და 170-ე
მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171¹, 172⁴, 172⁵, 173⁴, 173⁶, 173⁷, 173⁹, 173¹⁰,
173¹¹, 174¹, 174⁵, 174⁸-174¹⁴, 175¹, 175², 177⁸, 177⁹, 177¹¹, 178-ე, 179¹-183-ე, 187-ე-187², 189-ე,
191-ე (გარდა 191-ე მუხლის პირველი და 11 ნაწილებისა), 192-ე, 195-ე, 196²-196⁶ და
197¹ მუხლებით.“.

3. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 228² მუხლი:

„მუხლი 228². ელექტროენერგეტიკის ან ბუნებრივი გაზის სექტორის ლიცენზიატი

1. ამ კოდექსის 96¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების საქმეთა განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ ელექტროენერგეტიკის ან ბუნებრივი გაზის სექტორის სათანადო ლიცენზიატებს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილში მითითებულ პირებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება ამ კოდექსის 96¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის ჯარიმის განწილვადების თაობაზე, რაც არ უნდა აღემატებოდეს სახდელის დადებიდან ერთ კალენდარულ წელს.“

4. 290-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან, ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში – საჯარიმო ქვითრის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღეში, ამ კოდექსის 242-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში – ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისათვის ან აღნიშნულ მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი წევრისათვის საჯარიმო ქვითრის ფოსტით ჩაბარებიდან 30 დღეში, ხოლო ამ კოდექსის 228² მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ჯარიმის განწილვადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას – დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში. ამ მუხლით განსაზღვრული ვადების დინება შეჩერდება დადგენილების, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹ მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ან გაპროტესტების შემთხვევაში – საჩივრის ან პროტესტის განუხილველად დატოვების თაობაზე შეტყობინების ჩაბარებამდე.“

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი